№ 38 მთავრობის ორგანო უოველდღიური გაზეთი წელიწადი მეოთხე
ფასი 20 მან. პარასკევი, თებერვლის 18 1921 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებები)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 20 მან.
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 30 მან. 4-ზე გ. 20 მან.
სამგლოვიარო განცხ. ნებისმიერი ზომის (15—2) 1000 მ., განცხ. საზღვრის დაკრძალვის შესახებ 310 მ. სასმათლო. ოფ. განცხადებანი 600 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6-ტელეფ. 1—32.

მოქალაქენო!

თავისუფალი სამშობლო კვლავ მსხვერპლს მოითხოვს, ეველა თოფ ქვეშ!

სიკვდილი სამშობლოს მოღალატეს!

მობილიზაცია

სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცთა.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია **მობილიზაცია 1896 და 1897 წლებში დაბადებულ რესპუბლიკის ეველა ქართველ** სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცთა. მობილიზაციის **პირველ დღეთ დანიშნულია 17 თებერვალი** ამიტომ აღნიშნულ წლებში დაბადებულნი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცნი, მცხოვრებნი ქ. თბილისში, **უნდა გამოცხადდენ 18 თებერვალს, პარასკევს დილის 9 საათზედ,** თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოსთან (ვაგზლის ქუჩა, სახლი თამბაშეიანის) განსაგუთრებულ **შენობაში.**

17 თებერვალი. **ქალაქის გამგეობა.**

ოფიცერთა მობილიზაცია

თანახმათ თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია ქალაქ

ტფილისში დროებით თუ მუდმივათ მცხოვრებ ეველა

ქართველ სათადარიგო ოფიცერთა მობილიზაცია

მიუხედავათ მათი ხარისხისა და წოდებისა. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია 17 თებერვალი.

ამით ეველა გაწვეული ოფიცრები არიან მოვალენი დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა, თამბაშეიანის სახლი). **ქალაქის გამგეობა.**

არა ოფიციალური განყოფილება.

უველას, უველას, უველას!..

მთავრობის თავმჯდომარემ გაგზავნა რადიოთი 16 თებერვლის შემდეგი დეპეშა:

მთელი ქვეყნის ხალხებს და ეველა მთავრობებს.

ქართველი ხალხის და მისი მთავრობის შეურყეველმა მისწრაფებამ მშვიდობიანად და მეგობრულად ეცხოვრა ეველა ხალხებთან ვერ აიღებინა ხელი ჩვენ მეზობლებსა—საბჭოთა რესპუბლიკებს ჩვენს წინააღმდეგ სახიზღარ თავდასხმაზე.

საბჭოთა სომხეთმა და ადერბეიჯანმა რუსთა წითელ ჯარის საშველებით ომის ფორმალურად გამოუცხადებლივ, გამოილაშქრეს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი დამოუკიდებლობის მოსასპობლად და ქართველი ხალხის დასაძინებელად.

თქვენ უნდა იცოდეთ ეველამ, რომ მთელ რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტ-მოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულებები, მან გადაწყვიტა, წითელი დროშის და ლამაზი ლოზუნგების ნიღბის ქვეშ, შეიარაღებული ძალით ბოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა.

მთელი ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ჩვენ, რომ ქართველ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბრძოლა უკანასკნელ სულის თქმამდე თავის უსაზღვრეს მტერთან.

ამ შემიე ისტორიულ მომენტში ქართველი ხალხი გამსჭვალული მხოლოდ ერთი მისწრაფებით: დამოუკიდებლობა ან სიკვდილი!

და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ ბრძოლაში ეველა კულტურულ ხალხთა თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე არის.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე

ნოე ჟორდანია.

დავიცვათ ცფილისი!

რიცხვმრავალმა მტარვალმა აიძულა ჩვენი ჯარი უკან დაეხია.

როგორც ჩვენი ჯარი, ისე გვარდია ღრმად გულდ იბრძვის სამშობლოს დასაცავად; მან, მართალია, უკან დაიხია, მაგრამ დაიხია მწყობად, რიგზე. არავითარ დისციპლინის დარღვევას, არავითარ ალაპაშობს არა აქვს ადგილი მის მოქმედებაში, მთელი შეიარაღებული ძალა ერთი მიზნით არის გამსჭვალული, ერთ გეგმაზე მოქმედებს: მისი ყველა ნაბიჯები თავს მოიყრიან ტფილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთებზე და იქ ძლიერ პოზიციებიდან გაემართავენ მტარვალს შედგარ ბრძოლას.

ტფილისის საკითხი უნდა გადაიჭრას მოკედ ბაში. შეიძლა თუ არა ტფილისში გამბედაობით ბრძოლა, გადაიქცეს, თუ არა, ჩვენი დედა ქალაქი ბის სათარგმნად, განმეორდება თუ არა, ტფილისის ისეთივე აკლებ-ათხრები, როგორც ეს მოხდა აღა-მაჰმადის დროს ყველა ეს დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა ტფილისის დემოკრატიაზე. ჩვენი სახელოვანი ჯარი, ჩვენი თავდადებული გვარდია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და თავის მკერდით უხდება მტრის ტყვიას. ყველი მიმდგომია თფილისის მოსახლეობაზე, მის დემოკრატიაზე: იქნება, თუ არა, „ზურგი“ ფოროტის ღიისა? მიემხარება თუ არა, მთელი ხალხი ჩვენს დაცველებს? გვაქ თუ არა ფრთა ტეხ ყველა, ვისაც შეეძლოს იარაღის ტარება? ამაზე დამოკიდებული თფილისის ბედი. საქართა ულ ოთხდღნიმე დღის განმავლობაში მეცარეოთ მტერი და მისი საქმე წაგებული, თფილისი გადაურჩენილი, სამშობლო დაბრძენა, ძხოლოდ ორი სამი დღით უნდა მეცადეოთ ჯარი და გვარდია! დღიდან ომის დაწყებისა მათ არ იცოდნ რაა შეცდენა, რაა ძალი. თუ ეს მხედრებიდა, თფილისში დღითი დღე მოხდავდება საქართველოს ყველ კეთილდან შეიარაღებული ძალები, მთელი საქართველო ფეხზეა დაღგაია თავისი დედა ქალაქი დასაცავად.

ფროტზე გასვლის გარდა საქართველოს ყველი მოქალაქეს სხვა მოვალეობაც აწევს: იგი თითოსაც უნდა ეროდნის აღიარებოს, პანიკის გამოწვევას და მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა ებრძოლოს ამ ელემენტებს, რომლებიც ქმნიან ამ ატმოსფეროს. თფილისი ყველი ჯერის ხალხით არის დასახლებული, აქ თავი შეუფარებია მეცხ ჩვენს მტერს, რომლებსაც თვისიც ხელსაყრელია საკართველოს დღეს. აუცილებლად საჭიროა ეროთის დაკვირვა თავი გავუშეცხოთ შინაურს მტერს, უნდა ძირიანად ღიმოიფხვრას ღალატი, რომ ჩვენ მებრძოლთა ზურგს უკან მან ვერ გაიჩეხოს! მოგონ ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს ისე ანარქიულად, ისე ორგანიზაციულად, სთანადო ორგანოების საშუალებით.

თავდადებული ბრძოლა, თავის გაწირვა სამშობლოს სახსნელად და ამავე დროს მწყობრი, შეუდრეკელი, სასტიკ დისციპლინაზე დამყარებული ომქმედება. ასე იქნება ფროთ-ტი. მასს მაგალითს უნდა მიბაძოს „ზურგ-ში“ და ტფილისი, ჩვენი რესპუბლიკის უძველესი ქალაქი, გადარჩება მტრის ალბედობას და ტფილისის ბექებთან სამარე გაეთხრება გამბეცებულს მტერს, რომელსაც საქართველოს დამრნევება მოუწდომებია.

დამფუძნებელი კრების მოწოდება.

ქართველო ხალხო!

შენ ეერაგი მტერი დაგესხა. მისი მიზანია —დაგიპყროს, თავისუფლება წაგართვას, მონათ გაგხადოს. შენზე მოიწევს მტერი შენ ველ-ტატველი, მშიერი, დაჩვეული სხვის ძარცვა გლეჯას. თუ მისი განზრახვა განხორციელდა უნდა გამოეთხოვო შენს სახლკარს, შენს ქონებას. შენი თვალით განახვებენ შენი ოჯახის აწიოკებას და ნამუსის ახდას.

ქართველო ერო! შენ ბევრი განსაცდელი განახვა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შენ არა ერთხელ შეხვედრიხარ მტერს, მაგრამ ასეთი მდაბალი და უნამუსო მტერი შენ ჯერ არ გყოლია. ეს მტერი მამაცია მხოლოდ ლაჩრებთან, მაგრამ ლაჩარია მამაცებთან. და შენს ჯარსა და გვარდიას ეს სიმამაცე არ აკლია. მთელი კვირაა ის გაშმაგებით ებრძვის მასზე უფრო მრავალ რიცხოვან მტერს. ქართველო ერო! შენი ვალია გვერდში ამოუდგე ქედეს დაცველებს. შენ უნდა დაიბარო და გაამხნევო ის, ვინც ავად სიცოცხლის განწირვით შენ სიცოცხლეს განაჯანსაღ, შენ მშიდობიან შრომას იცავს. შენს მიწა-წყალს გარშემო ფოლადის სალტეთ არტყია. მთელი ქართველო ერი: ქალი და კაცი, დიდი და პატარა, გლეხი და მუშა, ინტელიგენტი და ვაჭარი—ყველა ფეხზე უნდა დადგეს. ფრონტს მხარში ამოუდგეს. მტერი ახლოა საქართველოს დედა ქალაქთან და აი არის საჭირო შენი მეცხ, შენი სწრაფი დარაზმვა, ქუდზე კაცი.

დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელს ქართველ ერს ამხედრდეს მტრის თავდხმის წინააღმდეგ, როგორც ერთი კაცი. ვისაც იარაღის ტარება შეიძლება—დაფუნენებლივ მიაშუროს სამხედრო ბანაკებს: „გვარდიის შტაბებს და სანდაც ესენი არ არიან იქ თემებს და ერობებს. აქ დაირაზმეთ თქვენ და აქედან მოაშველეთ ტფილისს მებრძოლი ბათალიონები. არ დაიყოვნოთ ერთი წამი. არ დაგვიშვებდეთ, რომ მტერი ქურდულად დაგვესხა, რომ დრო მოეგო. ეინც სახლში დარჩებით—იზარუნეთ ფრონტისთვის. მოიგროვეთ სურსათი, ტანსაცმლი ჩვენი მამაცი მებრძოლთათვის. გაიძლიერეთ ფხიერი თვალ-ყურის დევნება ყველა იმით წინააღმდეგ, ვისაც გეშინი ჩვენი დაღუპა უძევს. თითონ საკეთარი ძალით დაიცავით ყოველგან წესიერება. იზარუნეთ და იფიქრეთ მხოლოდ ფრონტზედ, მხოლოდ გამარჯვებაზე. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, აუცილებელი უნდა გავიმარჯოთ, სხვა სხვე და სხვა დანიშნულება დღეს ქართველ ერს არა აქვს. მაშ გამარჯვებისაკენ. შენ ერთხელ კიდევ შეახვედრდეთ უნდა შეიშინო ქართველი ერის სახელი. გამარჯვებით, ბრძნვინვალე გამარჯვებით. ამ გამარჯვებაში შენ წინ მიგიძღვიან დაშფუძნებელი კრება და მისი მთავრობა.

გეუმარჯოს საქართველოს, გეუმარჯოს მის თავისუფლებას!

გენ. კვინიტაძე—მთავარსარდალი.

საქართველოს ჯარების მთავარ-სარდლად დაინიშნა გენერალი კვინიტაძე.

„წითელი“ იმპერიალისტები

სომხეთის „წითელ“ იმპერიალისტებს ადერბეიჯანელებიც შეუერთდა. მტერს შეერთებულ ძალით უნდა ჩვენი განადგურება. როგორც სომხეთმა, ისე ადერბეიჯანმა ფეხქვეშ გასთელეს ჩვენთან დადებული ხელშეკრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიულ სამშობლოს მოქალაქენო!

მტკრი სიკვდილს გვიპირებს! აისხით იარაღი!

სიკვდილი ან გამარჯვება!

ბანი. მათი მიზანი ერთია —გააფრთხილონ დემოკრატიული საქართველო, ძალით ხელთ იგდონ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, და ბრძოლ, ააწიოკონ ჩვენი სოფელი და ქალაქები, ამოგლეჯონ ლუკმა პირიდან საქართველოს შრომიელ ხალხს და ის ძვირად გაუხარონ მოსკოვის წითელ პროლეტარიატს".

გაიმეფონ ჩვენში სისხლის ღვრა და ანარქია, ისტორიის არხეინ ჩაიბარონ ჩვენი დამოკიდებულება, რევოლიუციის ! მოხალოვარი, ოხსოვნისაც საქართველოს შრომიელი ხალხმა ამოდენა მსხვერპლი გაიღო.

დაიმხონ საქართველოს დემოკრატიის ნორით აღშენერული მთავრობა, ფეხქვეშ გასთელონ ქართველი ერის საარსებო ინტერესები, ასეთი ბედი ეწია ყველა იმ ქვეყნებს, სადაც კი ფეხი შესდგეს ამ შოვინელთა ეანდარმებმა.

მაგრამ შესძლებენ კი ამას?

ვერა და ითასჯერ ვერა.

ამ შეირთებულ წეთელ იმპერიალისტებს საქართველოც მთლიანად და ერთსულოვნად შეებრძოლებოდ, ის შაშინაც კი უძლეველი იყო მტერთან ბრძოლაში, როცა ასე შეკავშირებული არ იყო მისი ეროვნული სხეული.

დღეს ქართველი ერი ერთ სულს და გულს წარმოადგენს, მისი სურვილი დღეს ერთადერთია—გამარჯვება წითელ ჯარისკაცზე, რომელიც დღეს ჩვენ საზღვრებს ეთაღვა.

და ქართველი ერი მოდამ სისხლით და სხსვერპლით აღწევდა თავის სურვილებს წმინდა, ეროვნულ მიზნებს.

ის გაწვრთნილია ბრძოლაში, ამაზე უფრო რთულ სცრუთხილებან გამოსულა გამარჯვებული.

და ის დღესაც არ დაიშურებს მსხვერპლს ეროვნულ კიდევ და შეიძლება საბოლოო გასამარჯვებლად.

ამის ნიშნები უკვე სჩანს: მთელი საქართველო ფეხზე დგება, დიდი, პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, ყველა საომრად ეწერება, ყველა ფრონტისკენ მიეშურება.

დღეს ის ერთს მთლიან სამხედრო ძალას წარმოადგენს და ეს ძალა ერთხელ კიდევ დაანახვებს მტერს თუ როგორ უნდა თავისუფალ სამშობლოსათვის ბრძოლა.

დღე სომხეთისა და აღერბეიჯანის ლაზარეთ, უდროოდ „გაწვილებულებსა დემოკრატიამ, რომელმაც სამედიმოთ დაკარგა თავის ეროვნული ხიბლი და გახდა რუს-კომუნისტების ყურ-პოკრილი მონა, ჩვენიდან ისწავლოს თუ როგორ უნდა თავდაცვისათვის ბრძოლა, თუ როგორ უნდა თავისუფლების დაცვა და შეიბლიური მიწაწყლისა.

დავირაზმოთ!

ქართველო ერო! დადგა შენი ყოფნა არ ყოფნის საკითხ; ვერაგი მტერი სცვლილს გიპირებს, ისტორიამ არ იცოდა შენგან ის ეაკრებელი სისხლი, რომელიც შენ დაღვარე თავისუფლებისათვის, შენი სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

დადგა დრო როცა უნდა მოიკრიბო მთელი შენი ძალ-ღონე, როცა სისხლით უნდა დაიცვა შენი მიწა-წყალი, შენი ქონება, ცოლ-შვილი, რომელთაც დალტვი ელით ვერაგ მტრისაგან.

ერთხელ კიდევ მამა პატრად უნდა მოიქნიო ხმალი მტრის შესაწყვეტად

დადგა დრო როცა ყველა, დიდი პატარა, ქალი, კაცი თოფებე უნდა დავდგეთ და დავიცვათ თავისუფალი სამშობლო.

ხომ გამოცდე რარიგ ტკბილი და მაშხალდელი ყოფილა თავისუფალი სამშობლო, ისიც ხომ იცი, როგორ გიხუთავდა სულს, გაღარბებდა სხვის ბელში მონურად ყოფნა; მაგრამ ის კიდევ ცოტა იყო; ეხლანდელი მტერი უფრო შეუბრალებლად ამოსწყვეტს შენს სისხლს, არ დაგინდობს, არ შეგიბრალებს.

შენ სიკვდილი გირჩევნია ვიდრე მტრის ბელში ჩავარდნას.

მაშ, ქუდზე კაცო, გმირულად ვეძგეროთ კარზე მოსულ მტერს გავიმარჯოთ, ან დავიხსნათ ქვეყნიერობას, თუ როგორ უნდა სიკვდილი განთავისუფლებულ სამშობლოსთვის.

ს.სოფლისკვეთილება, უჩმედობა ნუ შეგიპყრობთ, მოქალაქენო, ქუდი მტერი ლაზარია, ის ჩვენ არა ერთხელ დავამარცხეთ, ეხლა კიდევ უკანასკნელად უნდა შევმუსროთ.

მეომრებმა გმირული სული, სიმამაცე თავდადება უნდა გამოიჩინონ, ხოლო ზურგზეც ყოფთ მართებს სულიერი სიმტკიცე, შიგნით წესრიგიანობის დაცვა თავის ჯინების ფრონტისთვის შეწირვა, აი რა მოვკავშეებიებ გამარჯვებას.

შორს ჩვენგან შიში და სიძხდალე, ყველა წინ ფრონტისკენ, გუშამდესთ, რომ გამარჯვება აუცილებელია.

მაშ დავიარაზოთ!

მოწოდება უველა ერობელს.

ქართველი ერის ყოფნის არ ყოფნის საათმა დაჭკა. გაერთიანებულნ აღერბეიჯანი და მოვინისტური სომხეთი და ევროპელთა თავს დაეცნენ საქართველოს ერთგულ მამულიშვილთ, რათა თავისი ბინძური ზრახვანი სისრულეში მოიყვანონ და მოსპონ ქართველი ერი.

ერობათა, ქალაქების და კოოპერატივთა კავშირებმა მიიღო რა მეხედველობაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის სიმწვავე თავის შეიკრიბეც კრებაზე 16 თებერვალს ერთხმად დაადგინა: მწცნოს ყველა საერობო დაწესებულებათა, ქალაქებს და კოოპერატივებს, რომ ეხლა დრო არ არის ჩვეულებრივი მეშობის გაგრძელებისა, უეთავრები ყურადღება ფრონტს უნდა ეთხოვოს, ყველა საზოგადო დაწესებულების მეშაკი ვალდებულია მხნეთ შეუდგეს სამხედრო დაცის საქმეს ვისაც როგორ შეუძლიან; აღვილობრივ დაუყოვნებლივ ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა გამოცდებული მოხალისეები მწყობრად და საჭიროებაზე ჩატრდეს, ჯარში გაწვევულთა ოჯახებს აღმოჩენის ყოველ გვარი დახმარება, ჯარში მიმავალი კი ეკნეს ტანსაცმელი და ერთი კვირის მაინც საგრძალი, ყველგან მშვიდობიანობა იქნას, რა. გზების ღიაობა სასტიკად დაცულ იქნას, მომარაგებულ იქნას ყოველივე ქალაქებში დაჭირელ დაშავებულთათვის ცხენონების მოსაწყობად, სურსათ სანოვაგე შეიკრიბოს, შედგენილ იქნას მოხალისეთა რაზმები და დაყუნენელივე შესრულებელი მთავრობის ყოველივე დავალება, როგორც უკვე მოხდენილი ისე ის, რომელიც მომავალში იქნება.

სახელმწიფო კრება ერობათა, ქალაქების და კოოპერატივთა კავშირებისა ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ ადგილობრივი მოცდენწენი გაბედილ ხალხში, აიხსნიან მათ მომენტს სიდიადეს და დავალებული უკლებლივ და დაყოვნებლივ აღსრულებით და სურსათ სანოვაგის და ფულით შემოწირულებათა უხვათ მოწოდებით დააჩქარებთ საქართველოს გამარჯვების დღეს.

მგდგომარეობა ცუდია.

დღეა ქალაქი ფეხზე დადგა. მობრეცა, ახალგაზრდა ყველა სიამოვნებით ეწერება რაზმებში. თებერვლის 16 ს მთელი სტუდენტობა, დროშით ხელში მოადგა სასახლეს და ფიცი დასდო რომ ის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას თავის სამშობლოს.

ბრძოლაში გამოწვრთნილი ტყილისის მუშათა კლასი თოფ ქვეშ სდგას და მიეშურება ფრონტისკენ.

საშეალო სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფენი კიტინით და მარსელიოზის სიმღერით მიეშურებიან სამშობლოს დასაცავად.

სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეებსაც იარაღი ეიხს. მოდიან პროვინციიდან რაზმები ეროვნული დრაშებით.

დაწესებულებებში მუშაობა ნორმალურად სწარმოებს.

მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები იმედიანად სდგანან თავიანთ პოსტებზე და მოეუწოდებენ მოქალაქეო დემოკრატიულ სამშობლოს დასაცავად.

მცხოვრებთა სულიერი განწყობილება მხნე და რევოლიუციონერია. ყველს ხმამა და სჯერა, რომ საქართველოს რევოლიუციონერი დემოკრატია საბოლოოდ შემუსრავს ვერაგ მტერს.

მოღალატეთა დასჯრება

ვენერალ გუშენტატორის ბრძანებით შეწყვა სამხედრო სასამართლო. სხდომა დაიწყო გუშინ 2 საათზე, ბევრს მოელს დაბერეტა, სახელი და გვარები მათი გამოქვეყნებული იქნება.

ჯარის გაძლიერება

გუშინ დილიდან არ შეწყვეტილა ჯარის ნაწყობების დენა ფრონტისკენ. ჯარი მამაცურად გამოიყურება; ყველას სახეზე ღიმი უკრთის; ოფიცერული ჯარის კაცის სახეზე წაიკითხავდით სრულ გამარჯვების იმედს; ხალხი ტაშით და ვაშას ძახილით ღელეთოვნებით აცილებდა ჯარს. ისმოდა ჯარიდან ხმები: „გაეთარჯოს საქართველოს, ან გავიმარჯვებთ და ან მოვკვდებით".

გორგალიელი მეცხვარეობა.

გუშინ მთავრობის თავჯდომარემ წარედგენ ბორჩალელ მუსულმანობის წარმომადგენელები, რომლებმაც გამეცხადეს თავჯდომარეს, რომ თუკი ძველისძაობა ძხად არის სისხლით დაიცვა საქართველოს მიწა-წყალი ვერაგ მტრებისაგან. „ჩვენ ქართველ ერთან ვართ დაისდგრულ", აღნიშნეს და ასთან ერთად უდა დავიბრძოლთ ბრძოლა ბრძოლაშია, ოუმცთა თავთოვნა უფასოდ გვაყურებდა, არ გვიყვედა ჯარში, თქვენ ეს გაბთვეთ, ყველანი, ვისაც კი ბელში თოფის დაჭერა შეგიძლიან გადვიყვეთ ჯარშიო", გ-ეცნობათ თავჯდომარე.

გაოცა ამით ძათე მოსაღეს თავრობის თავჯდომაძეა, როგორ მაშ.ცურად იჩრდვის ჩვენი ჯარი და ავრეთვე აღწეთს ის ბაოპროსოები, რომელიც ჯარისკაცთა სომხობას გამოეწვიათ მზკიდობას ბრძოლებს მუსულმანებისადმი.

მთავრობის თავმჯდომარე დელეგაციას ყოველივე დაბრძანება დაპირდა და სრული იმედი გამოსთქვა, რომ აღერბეიჯანსა და საერთოდ მუსულმან-დემოკრატიის დაბრძოლით უნდა გაკათავისუფლოთ ბოლშევიკური ტირანიისაგან არა მარტო საქართველო, არამედ თვით აღერბეიჯანიც.

ახალი ამბები

გენერალური შტაბის ცნობა. თებერვლის 16-ს რუსებლიკის ჯარები გაიშალნენ ტფილისის გამაგრებულ პოზიციებზე. მათ წინ შორეულ პოზიციებ მოეწინავე ჯარები იცავენ.

მომარაგების ფონდი. თანახმად შრომის სამინისტროს მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა ! გამოსცხოვოს დამფუძნებელ კრების 2,149,291,383 მან. მეშთა და მოსამსახურეთა მომარაგების ფონდის შესავსებათ. ეს თანხა 1920—21 წწ. ბიუჯეტიდან უნდა იქნეს შეტანილი.

დამხმარებითი შეტაკება. შრომის მინისტრის მოხსენების შემდეგ შრომის სამინისტროს დამხმარებით შეტაკების შესახებ, მთავრობამ დაადგინა გადასცეს ეს პროექტი შტატების გადამისნეჯვის სავანგებო კომისიას. ამასთანავე გადასწყვიტეს დაიავალონ მიწათ მოქმედების მინისტრს დ. ონიაშვილს, რომ იგი შეეძლეს ამ კომისიაში.

სახელმწიფო შემოსავალი. თანახმად ფინანსთა სამინისტროს წინასწარ ცნობებისა 1920 წლის განმავლობაში ხაზინის ! ჯასებში ყოველგვარ არა პირდაპირ გადასახადის სახით 1,535,840,487 მანეთი შემოსულა. სახელმწიფოს შემოსავლის აღნიშნული რაოდენობა წინა წლის შემოსავლს 9 ჯერ აღემატება. უმეცარესი თანხა არა პირდაპირ გადასახადის სახით შემოსულა თებერვალში (25.8 მილ. მანეთი). უდიდესი თანხა კი—დეკემბერში (324.4 მილ. მანეთი). სახაზო გადასახადის სახით გასულ წელში შემოსულა 253,144,594 მანეთი ე. ი. 13 ჯერ მეტი, ვიდრე 1919 წ. უმეცარესი თანხა აღნიშნულ გადასახადის სახით შემოსულა იანვარში (1.2 მილ. მანეთი). უდიდესი კი აგვისტოში (48,6 მილ. მანეთი). არაპირდაპირი გადასახადის სახით შემოსულა 1,789 მილ. მანეთი, რაც საერთო შემოსავლის 89% შეადგენს, მაშინ როდესაც პირდაპირი გადასახადების ხაზინას სულ 211,4 მილიონი მისცა, რაც 11%, შეადგენს. საერთოდ 1920 წლის განმავლობაში პირდაპირი და არაპირდაპირი სახით 2,005 მილ. მანეთი შემოსულა, რაც 1919 წლის შემოსავალს 8-ჯერ აღემატება.